MES 9 20 0000806080

09/09/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის ჩატარების თარიღი 25/08/2020
სხდომის დაწყების დრო 15:28 სთ
სხდომის დამთავრების დრო 18:59 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი
საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით ჭეიშვილი - სსიპ -ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;
მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ თორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
თეა სიფრაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ნინო კეკელიძე - შპს „აღმოაჩინე საქართველო“ დირექტორი.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სააპელაციო საბჭოს სხდომა იმართებოდა დისტანციურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. საბჭოს სხდომა იყო საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ჩართვა.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

1. თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგნელები:
შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

1. მარეხი ყანჩაველი - სკოლის დირექტორი;
2. შორენა დევაძე - იურისტი;
3. მარიამ ჩიქოვანი - იურისტი;
4. იოსებ ბარათაშვილი - იურისტი;
5. სალომე ოსეფაშვილი - იურისტი;
6. თამარ გუგუტიშვილი - სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი;
7. ავთანდილ გუნდაძე - აიტი მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

1. ეკატერინე კვირიკაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

1. დავით მალაზონია - საბჭოს თავმჯდომარე;
2. გიორგი გიგიბერია - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. რევაზ აფხაზავა - საბჭოს წევრი.

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 15:28 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ემუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სააპელაციო საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, წარმოდგენილი სახით დამტკიცდა.

თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა საბჭოს სხდომის ზეპირი განხილვის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საბჭოს სხდომის ამსახველი ოქმის პროექტის მომზადების ხელშეწყობა. მან აქვე განმარტა, რომ ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა წარმოადგინა ასევე, დაწესებულების ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა. მისი განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) სხდომის ოქმი არ ასახავდა სრულყოფილად სხდომის მიმდინარეობას, კერძოდ, გამოტოვებული იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტები. შესაბამისად, დაწესებულება უსამართლოდ მიიჩნევდა სხდომის ჩანაწერის განადგურებას და ითხოვდა სულ მცირე აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაცნობისა და წერილობით ოქმთან დადარების შესაძლებლობას. მისი შეფასებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი იყო იმ დარღვევების დაფარვის მცდელობა, რაც განხორციელდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დაწესებულება მოუწოდებდა აპელაციის საბჭოს წევრებს, არ გაემეორებინათ ავტორიზაციის საბჭოს დარღვევები და არ მომხდარიყო აუდიო/ვიდეო ჩანაწერის განადგურება. ამასთან, დაწესებულება აყენებდა შუამდგომლობას მათაც განეხორციელებინათ დღევანდელი საბჭოს სხდომის ჩაწერა, რათა საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო წერილობით ჩამოყალიბებულ ოქმთან შედარება.

ცენტრის წარმომადგენლის, თამარ შენგელიას განმარტებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 მარტის N212/ი ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, სააპელაციო და მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომაზე აუდიოჩაწერის განხორციელების წესის" (შემდგომში - წესი) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ცენტრის მიერ საბჭოების სხდომების აუდიოჩაწერა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით. ამავე წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავდა აუდიოჩანაწერის შენახვის ვადასა და განადგურების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, აუდიოჩანაწერი აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელ პირთან ინახებოდა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით. ცენტრის მიერ განხორციელებულ აუდიოჩაწერას ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი მიზანი - სხდომის ოქმის პროექტის მომზადება. აღნიშნული მიზნის მიღწევის შემდგომ, აუდიოჩანაწერი სპეციალურად განსაზღვრული პროცედურების მიხედვით უნდა განადგურდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება და სხდომის ოქმი იყო საჯარო და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქვეყნდებოდა ცენტრის ვებ გვერდზე.

თამარ შენგელიას განცხადებით, ოქმში ასახული იქნებოდა ყველა ის ძირითადი გარემოება, რაზეც წარიმართებოდა საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას მსჯელობა. ასევე, მან განმარტა, რომ თუ საბჭოს წევრები გამოხატავდნენ თანხმობას, დაწესებულების წარმომადგენლები უფლებამოსილი იქნებოდნენ, განეხორციელებინათ სხდომის ჩაწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის პარალელურ ჩაწერასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად დააკმაყოფლეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

1. **შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა არსებული პრაქტიკა განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულების წარმომადგენელს მიეცემოდა დაახლოებით 15 წუთი საჩივარში ასახული ძირითადი სადაო გარემოებების წარმოდგენის მიზნით. თუ ეს დრო არ იქნებოდა საკმარისი, დაწესებულების სხვა წარმომადგენელიც გამოთქვამდა დამატებით თავის პოზიციას, რასაც დაეთმობოდა 10 წუთი. აღნიშნულის შემდეგ სიტყვა მიეცემოდა ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და საბჭოს წევრს, რომლებიც ესწრებოდნენ აღნიშნულ სხდომას. მოგვიანებით, სააპელაციო საბჭოს წევრები კითხვებით მიმართავდნენ ორივე მხარეს.

დაწესებულების ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა განმარტა, რომ მოკლე შესავალ სიტყვას ის წარმოთქვამდა. შემდგომ სიტყვას განაგრძობდნენ დაწესებულების სხვა ადვოკატები, შორენა დევაძე და მარიამ ჩიქოვანი. დაწესებულების პოზიციას შეაჯერებდა დაწესებულების დირექტორი, მარეხი ყანჩაველი და სკოლის იურისტი, სალომე ოსეფაშვილი. იოსებ ბარათაშვილის განცხადებით, საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა, შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მიმართ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ხელახლა განსახილველად დაბრუნება. საჩივრის თანახმად, ავტორიზაციის საბჭოს მიერ დაშვებული იყო როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი დარღვევები. სამართლებრივი დარღვევების ჩამოყალიბების მიზნით მან სიტყვა გადასცა დაწესებულების ადვოკატს, შორენა დევაძეს.

ადვოკატმა, შორენა დევაძემ მიმოიხილა ის წინაპირობები, რაც დაედო საფუძვლად დაწესებულების მიერ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. მისი განმარტებით, სადავო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო მიმდინარე წლის 26-28 თებერვალს, როდესაც სკოლაში განხორციელდა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის შედეგად, 9 მარტს, მზად იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელიც სკოლას გაეგზავნა 13 მარტს. 23 მარტს, დადგენილ ვადაში სკოლის მიერ ვრცელი წერილი, სათანადო მტკიცებულებებთან ერთად, რომელიც სრულად პასუხობდა ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ თითოეულ პუნქტსა და იმ გარემოებებს, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეფასებით, ხარვეზს წარმოადგენდა. საბჭოს სხდომა ჩატარდა 15 მაისს დისტანციურად, zoom-ის პლატფორმის საშუალებით. აღნიშულ სხდომაზე, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის წევრები დეტალურად წარმოადგენდნენ დასკვნის შინაარსს. აღნიშნულმა გარემოებებმა ოქმშიც ზუსტად იმავე ფორმით ჰპოვა ასახვა. დაწესებულების წარმომადგენლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია, გარდა იმ რამდენიმე შეკითხვაზე პასუხისა, რაც დაფიქსირებული იყო ოქმშიც.

ვინაიდან გასაჩივრებული აქტის ერთადერთ დასაბუთებას ოქმი წარმოადგენდა, დაწესებულებას სურდა აღნიშნული ოქმის როგორც პროცედურულ, ისე შინაარსობრივ დარღვევებზე საუბარი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების დროს გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელი იყო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დადებოდა ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებაზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. მან დეტალურად მიმოიხილა 2020 წლის 15 მაისის სხდომის მიმდინარეობა. აღნიშნულ სხდომაზე არ იქნა ნახსენები სკოლის 2020 წლის 23 მარტის წერილი. წარმოდგენილი წერილი ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულება გახლდათ ამ დავის განხილვისას, ვინაიდან იქ დეტალურად იყო დაწესებულების პოზიცია წარმოდგენილი და თითოეულ სტანდარტთან მიმართებით ადასტურებდა სკოლის მიერ სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე უხეშად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, სკოლისათვის საკუთარი პოზიციის წარმოდგენის უფლების შეზღუდვით. სკოლის წარმომადგენლისგან განსხვავებით, ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელს მიეცა შესაძლებლობა ვრცლად წარმოედგინა საკუთარი მოსაზრებები. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი არ შეიცავდა მითითებას და დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რა დაედო საფუძვლად სკოლის გაუქმებას. აღნიშნული საფუძვლები პირდაპირ მითითებული იყო ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ბუნდოვანი სამართლებრივი დასაბუთების პირობებში სკოლა იძულებული იყო ეხელმძღვანელა თავად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, რომლიდანაც ფაქტიურად მთლიანად იყო ოქმში დასაბუთება გადმოტანილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო რომ, დარღვეული იყო საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი და არსებობდა გარკვეული ხარვეზები მატერიალური რესურსების სტანდარტთან მიმართებითაც, თუმცა ეს სტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩაითვალა. სკოლის საჩივარში დეტალურად იყო წარმოდგენილი პოზიცია თითოეულ ქვე სტანდარტთან მიმართებით და საჭიროების შემთხვევაში ზეპირ განხილვაზეც მოხდებოდა ამ საკითხებზე მსჯელობა. ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არ მომხდარა დეტალურად იმის განხილვა, დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები იყო თუ არა რეალური და იყო თუ არა საკმარისი იმისთვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი მიჩნეულიყო დარღვეულად. ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების გამორკვევაც, იზრუნა თუ არა სკოლამ ხარვეზების გამოსწორებაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, საბჭო არ დაინტერესდა, ეს ხარვეზები, მათი არსებობის და რეალურობის შემთხვევაში, ექვემდებარებოდა თუ არა გამოსწორებას და იყო თუ არა მიზანშეწონილი ამ ხარვეზების გამოსწორებისთვის გარკვეული ვადის მიცემა, რომელიც კანონით არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. ერთადერთი მტკიცებულება 12 ივნისს გამოქვეყნებული სხდომის ოქმი იყო. საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო სკოლის შუამდგომლობა სხდომის აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გადმოცემასთან დაკავშირებით, რომელზეც დაწესებულებას უარი ეთქვა რადგანაც ჩანაწერი, ოქმის პროექტის შედგენისთანავე განადგურდა ზემოთ მითითებული გარემოებების შედეგად, უხეშად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის, 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა იყო თანასწორი კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელი იყო ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა. აგრეთვე, მათთვის კანონმდებლობით

გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება, ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. სკოლის მიერ პოზიციის წარმოდგენის უფლება განმტკიცებული იყო ასევე, კოდექსის მე-13 მუხლით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა ასევე, საბჭოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოუყენებლობის ფაქტი, დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების ან შენარჩუნების კუთხით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს არ შეიძლებოდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატებოდა იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც აქტი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საერთოდ არ დასმულა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში, რა წარმატებები ჰქონდათ ამ მოსწავლეებს, რამდენი ხანი ფუნქციონირებდა სკოლა, რა შედეგები მოჰყვებოდა სკოლის მიერ ავტორიზაციის გაუქმებას. საბჭომ არ იმსჯელა სკოლისათვის ხარვეზების გამოსასწორებელი ვადის მიცემის საკითხზე, ისე მიიღო სკოლის დახურვის გადაწყვეტილება. დაწესებულების ადვოკატის განმარტებით, სკოლაში ამჟამად ირიცხებოდა 227 მოსწავლე, დასაქმებული იყო 70 მასწავლებელი. ასევე, რაოდენობაში არ იყო ჩათვლილი პირველ კლასში ჩარიცხვის მსურველთა განაცხადები. ავტორიზაციის საბჭოს მერ დისკრეციული უფლებამოსილება არა პროპორციულად და დაუსაბუთებლად იქნა გამოყენებული და საბჭომ არ გაითვალისწინა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესები. ადვოკატმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კიდევ ერთი მუხლი დაასახელა, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში, სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისა. ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკაზე სამსჯელოდ სიტყვა გადაეცა სკოლის ადვოკატს, მარიამ ჩიქოვანს.

ადვოკატის, მარიამ ჩიქოვანის განცხადებით, სააპელაციო საბჭოს ფუნქცია და მნიშვნელობა იყო შეეფასებინა თუ სამართლებრივად რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ავტორიზაციის საბჭომ. გარდა სამართლებრივი მიმართულებისა, სააპელაციო საბჭომ უნდა შეაფასოს რამდენად შეესაბამებოდა ავტორიზაციის საბჭოს მოცემული გადაწყვეტილება საბჭოს მანამდე არსებულ პრაქტიკას. მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას სადაოდ ხდიდა დაწესებულება, ვინაიდან მასში ასახული გარემოებების ნახევარზე მეტი არ შეესაბამებოდა რეალობას. დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები იყო ისეთი მცირე მნიშვნელობის, რომ ექსპერტთა ჯგუფსაც არ უნდა მიეჩნია ესა თუ ის სტანდარტი ან ქვე სტანადრტი დარღვეულად. 3 კომპონენტიდან, 2 კომპონენტი დამაკმაყოფილებლად იყო მიჩნეული, შენიშვნები და რეკომენდაციები ფიქსირდებოდა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. ავტორიზაციის საბჭო ვალდებული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გარდა, შეეფასებინა ასევე, მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიცია. სკოლის წარმომადგენლებმა შეისწავლეს არა მხოლოდ ძველი, არამედ 2019-2020 წლების საბჭოს პრაქტიკა. წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ავტორიზაციის საბჭომ დაარღვია ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი რომელიც გულისხმობდა გარემოებათა იდენტურობის დროს, მხარეთა მიმართ, განსხვავებული დამოკიდებულების დაუშვებლობას. მარიამ ჩიქოვანის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭომ რადიკალურად განსხვავებული მიდგომა გამოიჩინა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მიმართ და ხშირ შემთხვევაში, ანალოგიური ხარვეზებისა და უფრო მძიმე დარღვევების არსებობისას ზუსტად იმავე დროის მონაკვეთში და იმავე რანგის დაწესებულების მიმართ, საბჭო იღებდა უფრო ლმობიერ გადაწყვეტილებას. ადვოკატმა დაასახელა კონკრეტული სკოლის მაგალითები, რომელთაც უფიქსირდებოდათ დასკვნებში ანალოგიური ან უფრო მძიმე ხასიათის დარღვევები და საბჭომ მიიღო

გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის 60 დღიანი ვადის მიცემის თაობაზე, ხარვეზების გამოსასწორებლად და შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება ამ დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. ადვოკატის განცხადებით, საბჭოს საქმიანობის სტანდარტებითა და პრაქტიკით, ექსპერტებს ევალებოდათ იმის შეფასება, სკოლამ გამოასწორა თუ არა დასკვნაში მითითებული ესა თუ ის ხარვეზი. მისი განმარტებით, ხშირ შემთხვევაში, ამისთვის დროსაც კი ითხოვდნენ. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტებს ჰქონდათ ცალსახა პოზიცია და მათი საქმიანობა არ იყო მიმართული სკოლისთვის რეკომენდაციების მიცემაზე და მისი მუშაობის ხელშეწყობისკენ. საბჭოს მხრიდანაც არ მომხდარა რეალურად მსჯელობა იყო თუ არა რომელიმე კომპონენტი გამოსწორებული და იმსახურებდა თუ არა სკოლა მისი ფუნქციონირების ათწლეულების საფუძველზე საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელების უფლებას. ამასთან, საბჭოს სხდომაზე საერთოდ არ იყო განხილული სკოლის დადებითი მხარეები. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ასევე, იმ გარემოებას, რომ დაწესებულების 23 მარტის წერილში ასახული იყო, რომ ყველა რეალურად არსებული ხარვეზები გამოსწორდა სკოლის მიერ და აღნიშნულ კორესპონდენციას უნდა გაცნობოდა როგორც ექსპერტთა ჯგუფი, ისე ავტორიზაციის საბჭო. მარიამ ჩიქოვანის განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამართლებრივი პრინციპის დაცვა, რომელიც გულისხმობდა, რომ არ შეიძლებოდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა, იმ პირობებში როდესაც პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატებოდა იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იყო იგი გამოცემული. წარმომადგენლის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს უნდა შეეფასებინა, სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმება იყო თუ არა მეტი სიკეთე ვიდრე საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელება. სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2017 წლიდან 2023 წლამდე. შუალედური მონიტორინგის მიზანი უნდა ყოფილიყო რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა და არა ხელის შეშლა. სკოლა ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს, მისი მოსწავლეების 70% იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. აზერბაიჯანელი მოსწავლეები ეუფლებოდნენ არა ქართულ ენას, არამედ ისინი ქართულად სწავლობდნენ.

დაწესებულების ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა, შეჯამების სახით განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იყო მიკერძოებული. საბჭოს, რომ განეხილა დაწესებულების 23 მარტის წერილი, დარწმუნდებოდა, რომ ყველა შენიშვნა უკვე გამოსწორებული ჰქონდა სკოლას. საბჭოს გადაწყვეტილება იყო არა პროპორციული და არა თანაზომიერი, ასეთი მცირე მასშტაბის დარღვევები არ შეიძლება გამხდარიყო სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა და ეწინააღმდეგებოდა საბჭოს მანამდე არსებულ პრაქტიკას. წარმომადგენლის შეფასებით, ეს იყო მიზანმიმართულად იმ ხაზის გაგრძელება, რომელიც ეხებოდა დემირელის კოლეჯის, შაჰინის სკოლა-ლიცეუმისთვის, ნიკოლაძის სახელობის სკოლისთვის და აშ. ავტორიზაციის გაუქმებას. იოსებ ბარათაშვილის განცხადებით, მათ ჰქონდათ სააპელაციო საბჭოს წევრების არა მხოლოდ იმედი, არამედ დადებითი გამოცდილებაც, როდესაც ობიექტურად და კვალიფიციურად განიხილეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი და დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს . ადვოკატის მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი არგუმენტი არსებობდა იმისთვის, რომ გაუქმებულიყო ავტორიზაციის საბჭოს ეს მიკერძოებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლებს და სთხოვა ძირითად სადავო გარემოებებზე გაეკეთებინათ აქცენტი თავიანთი პოზიციის წარდგენისას. მან აქვე მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის და დამატებით განმარტა, რომ აპელაციის საბჭო განიხილავდა კონკრეტული

დაწესებულების სააპელაციო საჩივარს და რთული იქნებოდა დღევანდელი სხდომის ფარგლებში სხვა პრაქტიკებზე მსჯელობა. საბჭოს თავმჯდომარემ 5 წუთი გამოყო ავტორიზაციის საბჭოს თითოეული დამსწრე წევრის პოზიციის წარმოდგენისთვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ საბჭოში საქმიანობის მანძილზე მას არ ახსენდებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც დაწესებულების წარმომადგენელს არ მისცემოდა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი მოსაზრებები საბჭოს ზეპირ განხილვაზე. მისი თქმით, გამონაკლისი იყო მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ ლაკონურობით. საბჭოს თავმჯდომარე ვერ იხსენებდა ისეთ კონტრ არგუმენტს აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, რომელიც გააბათილებდა ექსპერტთა შეფასებებს. დავით მალაზონიამ დასძინა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის განხილვას დაეთმო საშუალოდ 1საათი და 40 წუთი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი გიგიბერიამ განაცხადა, რომ ზეპირ განხილვაზე დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ საკუთარი მოსაზრების შეუფერხებლად და სრულყოფილად წარმოჩენის შესაძლებლობა. ასევე, მან დასძინა, რომ როდესაც სიკეთეების აწონვაზე საუბრობდა დაწესებულება, მაგალითის სახით, შეეძლო მოეყვანა ერთ-ერთი სკოლის საკითხის განხილვა, სადაც გამოირკვა, რომ დაწესებულებას მე-12 კლასელები ჩარიცხული ჰყავდა თუმცა ისინი არ დადიოდნენ სკოლაში. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა გადატანითი მნიშვნელობით სიკეთედ შეფასებულიყო ის გარემოება, რომ ეს მოსწავლეები იყვნენ სახლში და არ დადიოდნენ სკოლაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენლების ბრალდება ავტორიზაციის საბჭოს მიმართ, იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანმიმართული ბრძოლა არის გამოცხადებული ,,ჩაღლარის ქსელის“ სკოლების მიმართ და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო ტენდენციური, არ შეესაბამება სიმართლეს. მან განმარტა, რომ საბჭოს ამავე სხდომაზე განიხილებოდა ამავე ქსელის სხვა სკოლის მონიტორინგის საკითხიც და საბჭოს გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლების ლოგიკით, თუ საბჭოს გამოცხადებული ჰქონდა ბრძოლა გარკვეული ჯგუფის სკოლების მიმართ, მაშინ რატომ მოხდა იმ ერთი სკოლის გამოყოფა, რომელიც ამავე ჯგუფის წარმომადგენელი იყო. რევაზ აფხაზავამ ასევე განაცხადა, რომ როდესაც საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკას აანალიზებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, მიზანშეწონილი იყო, მექანიკურად არ მომხდარიყო სხვადასხვა სკოლების შედარება სტანდარტების დარღვევის სიმძიმის ჭრილში. საბჭოს წევრის განმარტებით, მისი გადაწყვეტილება აღნიშნული დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ეფუძნებოდა სხვა დარღვევებთან ერთად, ისეთ დარღვევებს, რომელთა გამოსწორება შეუძლებელი იქნებოდა. ის ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებას, ეთნიკური უმცირესობებისთვის სრულფასოვანი განათლების მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა მან აქვე დასძინა, რომ აღნიშნულ სკოლაში ამ პროცესის არასრულფასოვნებაზე მეტყველებდა ის გარემოება, რომ თუ დაწესებულების 70% არაქართულენოვანი მოსწავლეა, როგორ შეიძლება სკოლას წლების მანძილზე არ ჰქონოდა შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დაუჯერებელი იყო ის გარემოება, რომ ეს მოსწავლეები თავიდანვე ისე კარგად ფლობდნენ ქართულ ენას, რომ არცერთი დისციპლინის შესწავლისას არ დაჭირვებოდათ ინდივიდუალური მიდგომა. ამ ხარვეზების გამოსწორება არ იყო შესაძლებელი 60 დღის ვადაში და სერიოზული ზიანის მომტანი იყო მოსწავლეებისთვის. ასევე, მაგალითისთვის ვერ გამოსწორდებოდა ის გარემოებაც, რომ სკოლას არ ჰქონდა სტატუს

შეჩერებული მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია მიწოდებული ამ მოსწავლეების მშობლებისთვის. ფიქსირდებოდა დარღვევები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელი იყო და იყო ასევე, დარღვევები, რომელთა შედეგადაც უკვე დამდგარი იყო ზიანი. ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტების მხრიდან ყურადღება გამახვილდა ასევე სკოლის დადებით მხარეებზეც და დაწესებულების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი პოზიცია წარმოედგინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკატერინე კვირიკაშვილი და სიტყვა გადასცა მას დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარმოდგენისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა ყურადღება გამახვილებულიყო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, მატერიალური რესურსის სტანდარტის დაკმაყოფილების საკითხზეც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების შეფასების ფარგლებში ის როგორც ექსპერტი მოქმედებდა და თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა დადგენილი წესის შესაბამისად და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა ეყრდნობოდა მოქმედ კანონმდებლობას და იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც გამოიკვეთა სკოლაში ვიზიტის დროს. ექსპერტი გამოეხმაურა ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებას, იმის თაობაზე რომ, საბჭოს სხდომაზე სკოლის შესახებ არაფერი თქმულა დადებითი. ეკატერინე კვირიკაშვილის თქმით, მისთვის კარგად იყო ცნობილი ეფექტიანი უკუკავშირის პრინციპები და ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დაიწყო და დამთავრდა დაწესებულების პოზიტიური შეფასებით. ექსპერტმა ასევე, განაცხადა, რომ ის არ იყო ინფორმირებული იმ აქტივობების შესახებ, რაც განახორციელა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ ხარვეზების გამოსწორების მიზნით. მისი მოსაზრებით, დაწესებულების წარმომადგენლები სადავოდ ხდიდნენ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივ და ფაქტობრივ მხარეს და შინაარსობრივი მსჯელობა არ გამართულა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით, თუმცა ის გამოხატავდა მზაობას ამ მიმართულებითაც ეპასუხა ყველა დასმული კითხვისთვის. ექსპერტის განცხადებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დეტალურად აღწერდა დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტების მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი იყო დარღვეული, მატერიალური რესურსების სტანდარტებთან მიმართებით იყო ბევრი კითხვა, ნაწილი მათგანი ქვე სტანდარტების მიხედვით იყო დარღვეული. მეორე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა დასძინა, რომ მნიშვნელოვანი მიმართულებები იყო მოსაწესრიგებელი, თუმცა მთლიანობაში სტანდარტი ითვლებოდა დაკმაყოფილებულად. მესამე სტანდარტი, რომლითაც ფასდებოდა სკოლის ადამიანური რესურსი, სრულად იყო დაკმაყოფილებული და ექსპერტის განცხადებით, სწორედ, ეს იყო ის საკითხი, რომლითაც დადებითი კუთხით წარმოჩინდა დაწესებულება საბჭოს სხდომაზე ექსპერტის მიერ. მეორე სტანდარტის შეფასების ფარგლებში, მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან და მოსწავლეების კანონიერი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით გამოვლინდა რიგი შეუსაბამო გარემოებები. ვრცელი იყო დარღვევების ჩამონათვალი და თუ იყო დროის მხრივ ამის შესაძლებლობა, ექსპერტი გამოხატავდა მზაობას ვრცლად ესაუბრა ამ საკითხებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ კითხვა პასუხის რეჟიმში მოხდებოდა რიგი საკითხების დაზუსტება. მან აქვე მიმართა საბჭოს წევრებს, განსახილველ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით დაესვათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და დღევანდელ ზეპირ განხილვაზე მხარეების მოსმენის შემდეგ ჩამოუყალიბდა მოსაზრება, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებსა და

დარღვევებს. მათ საპასუხო წერილში ჩანს, რომ შეეცადნენ ნაწილი შეუსაბამობების გამოსწორებას, თუმცა ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნულის გადამოწმების შესაძლებლობა არ ჰქონდა, რადგანაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უკვე დასრულებული იყო. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დღევანდელ საბჭოს სხდომაზე ამ მიმართულებით არაფერი თქმულა დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან. მისი ინტერესის საგანი იყო, ეთანხმებოდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს, რაზეც მათი წერილობითი დასტურიც იყო წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებში. ავტორიზაციის საბჭოს ოქმითაც დასტურდებოდა, რომ სრულად არა, მაგრამ უმეტეს ნაწილში დაწესებულება იზიარებდა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს.

დაწესებულების ადვოკატის, მარიამ ჩიქოვანის განმარტებით, სააპელაციო საჩივარში, რომელსაც სააპელაციო საბჭოს წევრები უნდა იცნობდნენ, დეტალურად იყო აღწერილი რომელ შენიშვნას იზიარებდა დაწესებულება და რომელს არ ეთანხმებოდა, რადგანაც არ შეესაბამებოდა რეალობას ან/და კანონმდებლობას. ასევე, მითითებული იყო ის საკითხებიც, რაც უკვე გამოსწორებული იყო დაწესებულების მიერ. მაგ., ტექნიკური საკითხი, რომელიც დანომვრას შეეხებოდა, გამოასწორა დაწესებულებამ. ასევე, 6 თებერვლის ახალი რეგულაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, იზიარებდა დაწესებულება და გამოასწორა და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა შესაბამისი დამადასტურებელი ფოტო მასალა. დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა ასევე, იცნობდა თუ არა ამ დროისთვის ექსპერტი დაწესებულების წერილობით პოზიციას დასკვნაში ასახულ შენიშვნებთან დაკავშირებით. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს წევრები თუ იყვნენ ინფორმირებულები სააპელაციო საჩივრის შინაარსის შესახებ.

ექსპერტმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს შეკითხვისათვის და განაცხადა, რომ ის არ წარმოადგენდა საბჭოს წევრს და შესაბამისად, არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა აღნიშნულ დოკუმენტს.

დაწესებულების ადვოკატმა, შორენა დევაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ავტორიზაციის პირობების შესრულების ადმინისტრაციული წარმოების ეტაპები და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ კანონით დადგენილ ვადაში წარმოადგინა ცენტრში წერილობითი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით და მათთვის მოულოდნელი იყო დღევანდელ სხდომაზე იმ საკითხის გამორკვევა, რომ ექსპერტი არ იყო იმ დოკუმენტის შესახებ ინფორმირებული, რომლის გაცნობის საფუძველზეც უნდა ჩამოეყალიბებინა საბოლოო დასკვნა. ასევე, მან დასძინა რომ დაწესებულებას ჰქონდა დიდი გამოცდილება ექსპერტებთან, საბჭოსთან თანამშრომლობის და პატივისცემა გამოვლინეს დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით და არ გახადეს სადაო ესა თუ ის საკითხი. მათ იმუშავეს ხარვეზების გამოსწორების მიმართულებით.

საბჭოს წევრი, ნინო კეკელიძე დაინტერესდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული მე-8 ხარვეზით, რომელიც შეეხებოდა პროფორიენტაციას და პროფესიული კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნინო კეკელიძის თქმით, მისთვის გასაგები იყო ექსპერტთა შენიშვნის შინაარსი, თუმცა გასაკვირი იყო დაწესებულების პასუხი აღნიშნულის თაობაზე. დაწესებულების პოზიციის მიხედვით, სკოლა იყენებდა მისთვის მინიჭებულ თავისუფალ არჩევანს და არ ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამას. საბჭოს წევრის განმარტებით, ყველასთვის ცნობილი იყო საგანმანათლებლო სივრცის ხარვეზი, რომელიც გულისხმობდა სკოლასა და პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის არსებულ დიდ სიცარიელეს. დაწესებულების სასწავლო გეგმაში და ცხრილში, არსად იყო საუბარი პროფორიენტაციის შესახებ. საბჭოს წევრის ინტერესის საგანს წარმოადგენდა სკოლის

ადმინისტრაციის შინაარსობრივი და არა სამართლებრივი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების იურისტის, სალომე ოსეფაშვილის განცხადებით, ვიზიტის პერიოდშიც განემარტათ ექსპერტებს, რომ სკოლებმა რესურს-ცენტრებისგან რეკომენდაციები მიიღეს 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისში, რომლის მიხედვითაც პროფორიენტაციის კურსების განხორციელება იყო ნებაყოფლობითი და შესაბამისად, სკოლები უფლებამოსილნი იყვნენ თავად გაეკეთებინათ არჩევანი, განახორციელებდნენ თუ არა ამ კურსს. სკოლამ ისარგებლა აღნიშნულით და მიიღო გადაწყვეტილება არ ჩაეტარებინა ეს კურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ამ საკითხის დაზუსტების მიზნით მათ მიმართეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რადგანაც იცოდნენ რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმის ჩამონათვალში კვლავ ფიქსირდებოდა პროფორიენტაცია. სამინისტროს პასუხის თანახმად, სკოლა უფლებამოსილი იყო თავად გაეკეთებინა არჩევანი პროფორიენტაციის სწავლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს იყო ის მიზეზი, რის გამოც სკოლამ არ განახორციელა პროფორიენტაციის სწავლება.

ექსპერტმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სიტყვა ითხოვა საბჭოს სხდომაზე. საბჭოს თავმჯდომარემ დაუკმაყოფილა თხოვნა.

ეკატერინე კვირიკაშვილი გამოეხმაურა დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებას, ექსპერტთა საქმიანობისა და დასკვნის მიმართ პატივისცემის გამოჩენასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, მან როგორც ექსპერტმა, მისი პროფესიული საქმიანობის გამო, განიცადა ზეწოლა სკოლის დირექტორისგან. ექპერტის აღქმით, სკოლის დირექტორი ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხის საშუალებით ცდილობდა ზეწოლას. აღნიშნული არ გამოხატავდა ექსპერტის საქმიანობის მიმართ პატივისცემას. ასევე, მან მადლობა გადაუხადა სააპელაციო საბჭოს წევრს, პროფორიენტაციასთან დაკავშირებით დასმული კითხვისთვის. მისი განმარტებით, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით ძალიან ბევრი რამ არ იყო ისეთი სახით გარანტირებული, როგორც პროფორიენტაციის სწავლება. პროფესიული ორიენტაციის სწავლება განსაზღვრული იყო ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით. არცერთი წერილი არ იყო აღმატებული ამ ნორმატიულ აქტებზე. რაც შეეხებოდა, სამინისტროს მიერ გამოგზავნილ რეკომენდაციებზე აპელირებას, მან პარალელი გაავლო სკოლის მიერ არჩევითი საგნის ცვლილებასთან დაკავშირებით. რომლის მიხედვითაც, სკოლამ აცნობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აღნიშნულის თაობაზე და სამინისტრო საპასუხო წერილში არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად ამ ცვლილებას. ამის მიუხედავად სკოლამ განახორციელა ცვლილება.

დაწესებულების იურისტის, სალომე ოსეფაშვილის განმარტებით, სკოლა ექვემდებარებოდა სამინისტროსა და მისი ქვემდებარე უწყებების წერილებსა და რეკომენდაციებს. მას საბჭოს წევრებს გააცნო რესურს-ცენტრის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სკოლამ იმოქმედა მისთვის მინიჭებული თავისუფალი არჩევანის ფარგლებში. რაც შეეხებოდა, არჩევითი საგნის ცვლილებას, მისი განცხადებით ექსპერტმა არასრულყოფილად მოახდინა სამინისტროს წერილის შინაარსის ციტირება და მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა მე-2 სემესტრში ცვლილების განხორციელებას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სკოლის კომპეტენციაში ტოვებდა.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა მადლობა გადაუხდა მხარეს დეტალური ინფორმაციის მოწოდებისთვის და აღნიშნა, რომ რამდენიმე კითხვა ჰქონდა. ის აკონკრეტებდა საბჭოს წევრის, ნინო კეკელიძის კითხვას, თუ რატომ მიიღო სკოლამ გადაწყვეტილება პროფესიული

ორიენტაციის კურსის არ განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენლებს არ უპასუხიათ. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თუ ფინანსების და ადამიანური რესურსების მიმართულებით არ იყო პრობლემები, სხვა რა ფაქტორი განაპირობებდა სკოლის აღნიშნულ გადაწყვეტილებას. მეორე კითხვა შეეხებოდა სკოლის სასწავლო გეგმას. საბჭოს წევრის მოსაზრებით დასკვნაში საუბარი იყო თანმიმდევრულობაზე და არა ტექნიკურ პრობლემაზე, ნუმერაციაზე. მისი განმარტებით, სკოლის სასწავლო გეგმას ჰქონდა თავისი აგების წესი, სტრუქტურა. მან ითხოვა, ექსპერტისგან ამ საკითხის დაზუსტება. მან აქვე დამატებითი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. საბჭოს წევრის განცხადებით, დაწესებულება სააპელაციო საჩივარში აღიარებდა იმ გარემოებას, რომ სკოლის სასწავლო გეგმა არ განსაზღვრავდა ჯამურ საათებს საგნების მიხედვით, დაწესებულებას არ ჰქონდა დათვლილი პირობითად ამა თუ იმ საგანში წლის განმავლობაში რა საათობრივი დატვირთვა ჰქონდა და რა გეგმით, პროგრამით უნდა ასწავლონ მოსწავლეებს. ასევე, შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნასაც არ უარყოფდა დაწესებულება. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვეოდა, რომ სასწავლო პროცესი დაწესებულებაში განსხვავებული ფორმით და გეგმით მიმდინარეობდა, ვიდრე ეს მიწოდებული იყო სამინისტროსთვის. შეჯამების სახით, საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ დაწესებულება არ უარყოფდა იმ მრავლობით დარღვევებს რომლებიც დაფიქსირებული ჰქონდათ ექსპერტებს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის შეფასებისას.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთმანეთისგან განსხვავებულად ჰქონდა სკოლას ასახული ცხრილში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. ისევე, როგორც ბაზაში და სასკოლო ჟურნალებში განსხვავებული ინფორმაცია ფიქსირდებოდა. საბჭოს წევრის შეფასებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს დასმულ კითხვებთან მიმართებით.

დაწესებულების დირექტორმა, მარეხი ყანჩაველმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე სკოლის საკითხის განხილვა გაგრძელდა დაახლოებით 40 წუთი და ავტორიზაციის საბჭოს წევრების განცხადება, იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა სრულყოფილად წარმოედგინათ ზეპირ განხილვაზე საკუთარი პოზიცია, არ წარმოადგენდა სიმართლეს. სწორედ, ამ მიზეზით გამოითხოვა დაწესებულებამ ცენტრიდან სხდომის მიმდინარეობის ჩანაწერი, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო ის გარემოება, რომ დაჩქარებულ რეჟიმში ხდებოდა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. სკოლის დირექტორის თმით, საბჭოს წევრებმა 5 წუთიანი თათბირის შემდეგ მიიღეს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება. მან აქვე განმარტება გააკეთა ექსპერტის, ეკატერინე კვირკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ის აღიარებდა 2 მოკლე ტექსტური შეტყობინების მიწერის ფაქტს. აღნიშნული განპირობებული იყო ადამიანური ფაქტორებიდან და მიზნად არ ისახავდა ექსპერტის შეურაცხყოფას. ასევე, ექსპერტის განცხადება, რომ დადებითი კონტექსტით დაიწყო საბჭოს სხდომაზე სკოლის წარდგენა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. სკოლის დირექტორის მტკიცებით, ექსპერტი მხოლოდ დარღვევებზე აკეთებდა აქცენტს ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დირექტორმა ასევე განაცხადა, რომ ყველა აქტივობების შეფასების სქემა განთავსებული იყო თვალსაჩინო ადგილას ყველა საკლასო ოთახში. ექსპერტი ვიზიტის ფარგლებში გამოხატავდა სკოლის ინვენტართან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით მოწონებას, თუმცა აღნიშნული არ იყო ასახული დასკვნაში და არ იყო გაცხადებული ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დირექტორმა ასევე განმარტა, რომ სკოლას არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის პირველი კლასიდან შემუშავებული ჰქონდა ინდ. გეგმები, თუმცა ეს ექსპერტის მიერ არ იქნა მოთხოვნილი ვიზიტის დროს. სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ ადგილი

ჰქონდა 3 გვერდის ბეჭდურ ხარვეზს. სკოლის დირექტორის განცხადებით, საქაღალდეში განთავსებული იყო დოკუმენტის სამუშაო ვერსია და ექსპერტების მოთხოვნის შემთხვევაში გადასცემდა მათ ოფიციალურ ვერსიას. რაც შეეხებოდა საათობრივ ბადეს, სკოლას დღესაც არ ჰქონდა სამინისტროსგან პასუხი, დაწესებულებ ის მიერ შემუშავებულ მოდელზე, რომელიც სექტემბრის თვეში გადაიგზავნა სკოლის მეირ. სკოლას ექსპერტთა ჯგუფს აწვდიდა ყველა მოთხოვნილ დოკუმენტს, თუმცა შემდეგ მათი მხრიდან ხდებოდა ამ დოკუმენტების შინაარსის დაწუნება. სკოლის დირექტორის მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადააჭარბა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. ასევე, მისი შეფასებით, ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენდა 45-წუთიანი საგაკვეთილო პროცესი პირველ კლასელებისთვის. რეალურად მათ უტარდებოდათ 35 წუთიანი გაკვეთილები და ამ ტექნიკური უზუსტობით არავინ დაზარალებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი პასუხი პროფესიული ორიენტაციის სწავლებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ადვოკატმა, იოსებ ბარათაშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ იმოქმედა მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და მისი ნება იყო არ განეხორციელებინა აღნიშნულის სწავლება. სამართლებრივი დარღვევა სახეზე არ იყო.

საბჭოს წევრმა, ნინო კეკელიძემ დააზუსტა, რომ სამართლებრივი მიმართულებით დასაბუთება უკვე მოისმინეს საბჭოს წევრებმა, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ რა ადმინისტრაციული ფაქტორების გამო არ გადაწყდა პროფორიენტაციის სწავლება.

დაწესებულების იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი და არც სწავლების გადასახადი იყო მაღალი. სკოლის მიერ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ენების შესწავლაზე. ძირითადი მიზეზი, რის გამოც სკოლა ვერ ახორციელებდა პროფორიენტაციას, იყო ფინანსური საკითხი.

სკოლის ადვოკატმა, შორენა დევაძემ დამატებით დასძინა, რომ სამინისტროს წერილი იყო ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ასევე, მან აღნიშნა რომ დღევანდელ სხდომაზე ხდებოდა ისეთი საკითხების გაჟღერებაც, რომელიც არ იყო განხილული ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე და არც დასკვნაში იყო დაფიქსირებული. შორენა დევაძის თქმით, საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას მოსაზრება, არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის სპეციალური პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით პირველად იქნა დაფიქსირებული. ეს პროგრამების სკოლას ჰქონდა და ეს მოსწავლეებიც ბრწყინვალედ ფლობდნენ ენას. ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიერ ახალი ბრალდებების გაჟღერება მიუთითებდა ტენდენციურ და ზედაპირულ განხილვაზე აღნიშნული საბჭოს მიერ. საკითხების, რომლებიც ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში არ იყო დაფიქსირებული, განხილვა არ უნდა მომხდარიყო დღევანდელ სხოდმაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი და მადლობა გადაუხადა მას დაინტერესებისთვის. აქვე მან აღნიშნა, რომ 2 კითხვა ჰქონდა მოსწავლის პერსონალური მონაცემების შესახებ. ნინო ოკრიბელაშვილი დაინტერესდა, თუ რა ფორმით იღებდნენ მოსწავლეები უკუკავშირს მათ მიერ მიღებული შეფასებების თაობაზე და იყო თუ არა სკოლის მხრიდან უზრუნველყოფილი, რომ თითოეული მოსწავლის პერსონალური მონაცემები, მიღებული შეფასებები სხვისთვის ამ მოსწავლის თანხმობის გარეშე არ ყოფილიყო ცნობილი. ამასთან, როგორც საავტორიზაციო მასალებიდან იკვეთებოდა, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე ხორციელდებოდა ვიდეო კონტროლი, მათ შორის საკლასო ოთახებშიც. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა,იყო თუ არა სკოლაში დასაქმებული ყველა პირი, ასევე მოსწავლეები, მათი კანონიერი წარმომადგენლები

წერილობითი ფორმით ინფორმირებულები, რომ სკოლაში ხორციელდებოდა ვიდეო თვალთვალი. ნინო ოკრიბელაშვილის განცხადებით, მან ბევრი იმუშავა აღნიშნული სააპელაციო საჩივრის შესწავლისას. საბჭოს სხდომაზე გაჟღერდა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკითხი. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, იმ დროსაც ის წარმოადგენდა სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარეს და გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო შინაგანი რწმენით. დღეს განსახილველ საკითხსაც იგივე პრინციპით მიუდგა ის და ამიტომაც მოხდა რიგ საკითხებში ასე ჩაღრმავება.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა აქვე დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იყო სკოლის ადმინისტრაციის პოზიცია, დაწესებულებაში არასაკმარის საპირფარეშოებთან და სტანდარტების შესაბამის ადაპტირებული გარემოს არ ქონასთან დაკავშირებით.

სკოლის იურისტმა განმარტა, რომ დაწესებულება სარგებლობდა ელექტრონული ჟურნალით და მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაც ამ ფორმით ხდებოდა ინდივიდუალური ანგარიშის სახით. მან ასევე განმარტა, რომ ექსპერტმა ვიზიტის დროს იხილა ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლის ანგარიშიდან, სადაც ყველა მოსწავლეზე გახსნილი იყო ხედვა. ვიდეო თვალთავლთან დაკავშირებითაც მყისიერად მოხდა შენიშვნების გათვალისწინება, შესაბამისი ფოტო მასალა წარდგენილ იქნა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. რაც შეეხებოდა ადაპტირებული გარემოს 22 თებერვალს ეცნობა სკოლას ახალი რეგულაციის შესახებ და როგორც კი სასწავლო პროცესი პანდემიის პერიოდში გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, სკოლამ ეს გარემოებაც გამოასწორა და წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე ფოტომასალა. სკოლაში საპირფარეშოები გადანაწილებული იყო ჭადრაკული სისტემით, ერთი სართულის გამოტოვებით იყო გოგონებისა და ბიჭებისთვის. მან აქვე დასძინა, რომ ამ მოცემულობით სკოლამ რამდენჯერმე გაიარა ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტს, ეკატერინე კვირიკაშვილს პოზიციის წარსადგენად.

ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ის არ აპირებდა პოლემიკაში შესვლას დაწესებულების წარმომადგენელთან. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია დაფიქსირებული იყო დასკვნაში და გამყარებული იყო შესაბამისი მტკიცებულებებით. ექსპერტმა, განაცხადა, რომ ქალბატონი მარეხი ყანჩაველის მიერ დაფიქსირებული პოზიცია იყო სუბიექტური და დაუსაბუთებელი და დამატებით განაცხადა, რომ საბჭო გადაწყვეტდა მხარეების პოზიციის მართებულობას. ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტება გააკეთა ავტორიზაციის საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას პოზიციასთან მიმართებით და განაცხადა, რომ ეს არ იყო ახალი გარემოება. მან განმარტა, რომ რევაზ აფხაზავას მოსაზრებაში არ იყო საკლასო შეფასებაზე საუბარი და დამატებით განმარტება გააკეთა რევაზ აფხაზავას მიერ გაჟღერებულ კიდევ ერთ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ინდივიდუალურ მიდგომას და განაცხადა, რომ დასკვნაში და საბჭოზე იყო ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი, რომ სკოლა ვერ ადასტურებდა, რომ მას შეეძლო მოსწავლისთვის სწავლის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების და სამართლიანი შეფასების სისტემის უზრუნველყოფა.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ ჰქონდა კითხვა სკოლის წარმომადგენლებთან. ნინო ოკრიბელაშვილმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო მასალებიდან გამომდინარე საბჭოს სხდომაზე ისაუბრეს ძალიან ბევრ ხარვეზებზე, რომელიც სკოლას ჰქონდა, სკოლის წარმომადგენლები გარკვეულ საკითხებს იზიარებდნენ, რამდენიმე საკითხი სკოლის მიერ უკვე გამოსწორებული იყო. ნინო ოკრიბელაშვილმა განაცხადა, რომ ის ჩამოთვლიდა მთელ რიგ სამართლებრივ აქტებს, რომელთა დაკავშირებით ავტორიზაციის

საბჭოს სხდომაზე სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვისას იყო პრობლემები, კერძოდ: ეს იყო ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის შესახებ ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებმა; ექსტერნატის წესი, რომელიც მითითებული იყო საავტორიზაციო მასალებში; მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი; ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების წესი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სივრცის მოთხოვნის რეგლამენტი; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი. ნინო ოკრიბელაშვილი დაინტერესდა, რომ ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი მთელი რიგი სამართლებრივი აქტების დარღვევები ადასტურებდნენ თუ არა, რომ სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში არსებობდა სისტემური ხასიათის პრობლემები. ნინო ოკრიბელაშვილმა დამატებით განმარტა, რომ მას ჰქონდა დეტალურად განხილული სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები და მასალებიდან ამოარჩია ზემოთ ხსენებული მიმართულებები. მან დამატებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ფიქრობდნენ, რომ ყოველივე ზემო აღნიშნული სერიოზულ გავლენას მოახდენდა სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხზე.

სკოლის იურისტმა, მარიამ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ნინო ოკრიბელაშვილის პოზიციას და განაცხადა, რომ ყველა ხარვეზზე ვალდებული იყო ექსპერტი მიეთითებინა შესაბამისი სამართლებრივი აქტი. მარიამ ჩიქოვანმა დამატებით განმარტა, რომ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ კონკრეტული რეგულაციის დარღვევა ნამდვილად არსებობდა. მან განაცხადა, რომ ყველა სკოლას მინიმალური ხარვეზი უფიქსირდებოდა. მისი თქმით, რომ შპს - შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალური გარემოს მოწყობა და ყოველთვის სკოლა მისდევდა იმ გაიდლაინებს, რომელიც ამ მიმართულებით იყო დაწესებული. მარიამ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ორგანო და განათლების სიტემის მაკონტროლირებადი ორგანო ვალდებულია შეამოწმოს და შეაფასოს დარღვევები, თუმცა ზემოაღნიშნული კონკრეტული რეგულაციის დარღვევას ყველა სკოლაში ექნებოდა ადგილი. მან მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ არის თუ არა საპირწონე იმისა, რომ ამ დარღვევის მიზეზით, სკოლას შეუწყდეს უფლებამოსილება. მარიამ ჩიქოვანმა, ინდივიდუალურ მიდგომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იქედან გამომდინარე, რომ იურისტები არ ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ ორი დოკუმენტით: ეს იყო სხდომის ოქმი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ მიდგომებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით პრობლემა არცერთ დოკუმენტში არ იყო დაფიქსირებული და სკოლის წარმომადგენლებისთვის გაურკვეველი იყო, თუ რატომ ჩაითვალა ეს საკითხი ხარვეზად, როდესაც ექსპერტები მხოლოდ ზეპირსიტყვიერად საუბრობდნენ ამ პრობლემაზე დასაბუთების გარეშე. მისი განმარტებით ამ საკითხთან მიმართებით განხილვაში არ შევიდოდნენ. მარიამ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიცია სრულყოფილად მოხსენიებული არ იყო ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში. მან განაცხადა, რომ ექსპერტმა დასკვნაში აღნიშნა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმას არ შეესაბამებოდა წარმოდგენილი სასწავლო გეგმა, თუმცა მას ჰქონდა კითხვა ექსპერტის მიმართ, თუ რა არ შეესაბამებოდა კონკრეტულად ეროვნულ სასწავლო გეგმას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დოკუმენტის ამობეჭდილ ვარიანტში ფურცლების დანომვრა არ იყო თანმიმდევრული და აღნიშნა, რომ თანმიმდევრობა შინაარს არ ხდიდა სადაოს.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით, ორი ქვე პუნქტის გარდა ყველაფერი დარღვევად იყო მიჩნეული და განაცხადა, რომ ცალსახად წარმოდგენა, რომ ნუმერაციაზე ხდებოდა აქცენტი არ იყო მართებული. საბჭოს წევრმა მოსაზრება გამოთქვა სველ წერტილებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ დასკვნაში და არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნული იყო, რომ სკოლას გარკვეული ფართი დათმობილი

ჰქონდა საბავშვო ბაღისთვის, სწორედ ის ფართი, სადაც ერთ-ერთი ადაპტირებული სველი წერტილი იყო განთავსებული. მან განაცხადა, რომ ბევრი გარემოება იკვეთებოდა ისეთი, რომელსაც არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება ეთანხმებოდა. თეა სიფრაშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრები წარმოდგენილ მასალებს დეტალურად იცნობდნენ, და რადგან ყველა დეტალზე საბჭოს წევრები კომენტარს არ აკეთებდნენ არ ნიშნავდა, რომ მათ პოზიციას იზიარებდნენ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას რამდენჯერმე გაიჟღერა, რომ საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების მიერ არ იქნა გარკვეული საკითხები გამოკვლეული, რაზეც განმარტება გააკეთა, რომ საბჭოს ყველა წევრს შესწავლილი ჰქონდა დაწესებულების მიერ წარმოების მასალები. დავით მალაზონიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ბრალდება იყო აბსურდული, რადგან არ ყოფილა საბჭოს სხდომა, სადაც საბჭოს წევრებს არ ჰქონოდათ შესწავლილი, გამოკვლეული და გაანალიზებული თითოეული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები.

დაწესებულების ადვოკატის, სოსო ბარათაშვილის თქმით სკოლამ ვადების დაცვით 23 მარტს წარადგინა ცენტრში არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით, სადაც დეტალურად იყო ყველა საკითხზე პოზიცია დაფიქსირებული. დაწესებულებისთვის გაუგებარი, იყო თუ რატომ ვერ გაეცნო ექსპერტი აღნიშნულ დოკუმენტს. ამ დოკუმენტში ასახულ გარემოებებზე არ მომხდარა მსჯელობა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ასევე, მან ხაზი გაუსვა საბჭოს წევრების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ერთგვაროვანი პრაქტიკის აუცილებლობას. ასევე, მისი თქმით როდესაც აღნიშნულ სხდომაზე განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომლებზეც არ უმსჯელიათ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, ბადებდა ეჭვებს რომ საბჭოს წევრები იყვნენ მიკერძოებულები.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს მეტი პატივისცემა გამოეჩინათ საბჭოს წევრების მიმართ.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტებები გააკეთა საბჭოს სხდომაზე გაჟღერებულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი თქმით საბჭოს სხდომის ოქმში აისახებოდა ძირითადი საკვანძო გარემოებები. ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული ყველა მხარისთვის დოკუმენტაციის სრულყოფილად მიწოდება, როგორც მონიტორინგის პირობების შემოწმების დროს, ისე სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში. ასევე, ავტორიზაციის დებულების მე-17 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. თამარ შენგელიამ აგრეთვე განმარტა, რომ დაწესებულება უფლებამოსილი იყო დასაბუთებული აცილება განეცხადებინა ექსპერტთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, შემაჯამებელი სიტყვის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ადვოკატმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ არ ჰქონია ადგილი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის დარღვევას ადგილი. ექსტერნატთთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საგზაო მოძრაობის საგნის გარდა კიდევ ძალიან ბევრი გამოცდა იქნა ჩატარებული და არ გამოვლენილა ხარვეზი. მოსწავლეს არ მიყენებია ზიანი, რადგანაც გასაჩივრება არ მომხდარა ამ საგანთან დაკავშირებით. სკოლის 23 მარტის წერილში ყველა დარღვევაზე იყო პასუხი წარმოდგენილი.

სკოლის დირექტორმა სტატუს შეჩერებული მოსწავლეების ინფორმირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 24 იანვარს სკოლამ წერილობით აცნობა ერთ-ერთ მშობელს ამის თაობაზე, მაგრამ კორესპონდენცია უკან დაბრუნდა რადგანაც მოსწავლის ოჯახი არ იმყოფებოდა საქართველოში და დამატებითად აღარ მომხდარა გადაგზავნა.

დავით მალაზონიამ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება არ იყო პრეცედენტული, ნოლო წლების განმავლობაში იმ დაწესებულებებს, რომლებთან მიმართებითაც აღინიშნებოდა სისტემური ხარვეზები, უარი ეთქვათ ავტორიზაციის მინიჭებაზე/გაუუქმდათ ავტორიზაცია.

ექსპერტმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა შეჯამების საკით განაცხადა, რომ დასკვნა დეტალურად ასახავდა შეფასების ფარგლებში გამოვლენილ ყველა გარემოებას. ექსპერტთა ჯგუფს სრულად სადაო არ გაუხდია ექსტერნის საკითხი, კონკრეტული ნაწილი იყო მოცემული დასკვნაში. სადაო საკითხი ნამდვილად წარმოადგენდა დარღვევას. სახეზე იყო კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა და ამასთან, მოსწავლემ მოაწერინეს იდეთ დოკუმენტზე ხელი, რაც მას არ განუხორციელებია. ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ახალ რეგულაციაზე აპელირება არ იყო მისაღები პოზიცია დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, რადგანაც მანამდეც იყო მთავრობის დადგენილებით ეს საკითხი დარეგულირებული. შეჯამების სახით, ექსპერტმა განაცხადა რომ შეფასების ფარგლებში ექსპერტებმა სადაოდ გახადეს შემდეგი სამართლებრივი აქტების დაცვის საკითხი: ეროვნული სასწავლო გეგმა; ექსტერნატის წესი, ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების წესი; უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი; მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი; მოსწავლის გაკვეთილზე დასწრების და ჟურნალის აღრიცხვის წესი; საქმისწარმოების წესი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობის რეგლამენტი; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი; პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი. ექსპერტის განმარტებით, ასეთი მრავლობითი ხასიათის დარღვევების ფონზე სადაოა, რამდენად უწყობს სკოლა ხელს ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას თავისი საქმიანობით.

დაწესებულების ადვოკატმა, მარიამ ჩიქოვანმა განაცხადა, რომ სახეზე არ იყო სკოლის მიერ სისტემური დარღვევები. არცერთი დარღვევიდან არ გამომდინარეობდა ის გარემოება, რომ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს არ შეესაბამებოდა სკოლის საქმიანობა. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება არ იყო პროპორციული, ექსპერტთა დასკვნიდან და ზეპირი განხილვიდან გამომდინარე. დაწესებულება იმედოვნებდა რომ სააპელაციო საბჭო მიიღებდა გონივრულ გადაწყვეტილებას.

სკოლის დირექტორმა დამატებით ხაზი გაუსვა სკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების წარმატებას და მნიშვნელობას საზოგადოებისა და ქვეყნის კონტექსტში. შესაძლოა, სკოლის შეფასებისას გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, თუმცა ეს არ იყო ფუნდამენტური ხასიათის და არ იყო საფუძველი ავტორიზაციის გაუქმების.

საბჭოს წევრი, თეა სიფრაშვილი დაინტერესდა, კონკრეტულად რას დაეყრდნო ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას, სტანდარტებთან მიმართებით რა ნაწილში მოხდა ექსპერტთა შეფასების გაზიარება და რა ნაწილში დაწესებულების წარმომადგენლების.

დავით მალაზონიას განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან და მატერიალურ რესურსებთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზების ერთობლიობამ განაპირობა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება. მთავარი შენიშვნები შეეხებოდა ასევე, იმ დოკუმენტების მოუწესრიგებლობას, რომლებიც მთლიანად ასახავს სასწავლო პროცესს. საბჭომ

გაიზიარა ორივე მხარის პოზიცია ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, სწორედ ეს საკითხი შეფასდა დაწესებულების დადებით მხარედ.

საბჭოს თავმჯდომარე, ნინო ოკრიბელაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ დარჩათ უკმარისობის განცდა, კერძოდ, რომელიმე საკითხის განხილვას ხომ არ დაეთმო ნაკლები დრო.

დაწესებულების ადვოკატის, სოსო ბარათაშვილის განცხადებით, მატერიალური რესურსების სტანდარტი დაკმაყოფილებულად იყო მიჩნეული და არ იყო მიზანშეწონილი ამ საკითხზე მსჯელობა როგორც გამოუსწორებელ დარღვევებზე. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებული შენიშვნებზე რეაგირება და თითოეულ საკითხზე პასუხი მოცემული იყო დაწესებულების წერილში.

საბჭოს სხდომაზე კომენტარი გააკეთა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადო მხარეებს საბჭოს ზეპირი განხილვის ფარგლებში დეტალური ინფორმაციისა და განმარტებების მოსმენისთვის. მისი თქმით, მხოლოდ წერილობითი ფორმით გამოთხოვილი ინფორმაცია ხშირად არ იძლეოდა სათანადო სურათს კონკრეტულ შემთხვევაზე. აქვე, მან დასძინა, რომ აღნიშნულის მიუხედავად შესაძლოა მაინც მომხდარიყო დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:15 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:37 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 01 ივნისის N423041 გადაწყვეტილების გაზიარების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას ,,შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 01 ივნისის N423041 გადაწყვეტილება.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სააპელაციო საბჭო აფასებდა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. სააპელაციო საბჭოს წევრების მოსაზრებით კანონიერების დარღვევა არ იკვეთებოდა, ვინაიდან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოქმედი პროცედურების დაცვით. რაც შეეხებოდა მიზანშეწონილობას, საქმის მასალებში გამოიკვეთა არსებითი ხასიათის დარღვევები. მაგალითად, ერთ-ერთი დარღვევა, რომელზეც უკვე იყო საუბარი, შეეხებოდა სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის ტექნიკური და შინაარსობრივი კომპონენტი გარკვეულწილად არ

შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ასევე, წარმოდგენილი იყო ძალიან ბევრი ხარვეზი, რაც მიუთითებდა სკოლის, როგორც ინსტიტუციის ხარვეზებზე და ეჭვის ქვეშ აყენებდა მოსწავლის შედეგზე ორიენტირებას და მდგრად განვითარებას.

დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა სააპელაციო საბჭოს წევრებს საკითხის განხილვისთვის დათმობილი დროისთვის. მან აღნიშნა, რომ მიღებული გადაწყვეტილება იყო უსამართლო და არ ეთანხმებოდა მას. დამატებით სკოლის ადვოკატმა, მარიამ ჩიქოვანმა დასძინა, რომ მოულოდნელი იყო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მიღებული გადაწყვეტილება და მხარის პოზიციის უგულებელყოფა. ის მოხარული იყო, რომ აღნიშნულ სხდომას ესწრებოდნენ ასევე, ამერიკის საელჩოსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:59 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით